ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5435240

ნომერი: AR1815826

თარიღი : 05.04.2021

გაცემის თარიღი : 04.06.2021

გაცნობის თარიღი : 04.06.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 39ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვალერიანე იობიძე პ/ნ 60001077497
- ქუთაისი მ.ასლანიკაშვილის ქ. N 57

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 03.12.2003 წ. #3106 სამშენებლო პასპორტში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 05/04/2021 წლის AR1815826 განცხადებით მომართა ვალერიანე იობიძემ და მოითხოვა ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 03.12.2003 წ. #3106 სამშენებლო პასპორტში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის მიერ 03.12.2003 წელს ქალაქ თბილისში, ყიფშიძის ქ. #2-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით #01.14.14.002.013 (ფართობი 1706 კვ.მ.) საოფისე კომპლექსის ასაშენებლად მომზადდა #3106 სამშენებლო პასპორტი, რომელშიც ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 19 ნოემბრის #61107 ბრძანებით შევიდა ცვლილება.

ქ. თბილისის მერის 2009 წლის 31 მარტის #270 განკარგულებით ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. #2–ში არსებული მიწის ნაკვეთზე საოფისე კომპლექსის მშენებლობისთვის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ–2) განისაზღვრა 7.0–ით.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 10 აგვისტოს #3399 ბრძანებით ცვლილება შევიდა ქ. თბილისის მერის 2009 წლის 31 მარტის 270 განკარგულებაში, კერძოდ, ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ყიფშიძის ქ.#2/ ჭავჭავაძის გამზირი #39-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.14.14.002.116) მრავალფუნქციური შენობის (საზოგადოებრივი-საცხოვრებელი) განსათავსებლად, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვრა კ2=7.0.
10/08/2015 წლის №2059524 ბრძანებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 10 აგვისტოს 3399 ბრძანების საფუძველზე, შევიდა ცვლილება ქალაქ თბილისისბ არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 03.12.2003 წ. #3106 სამშენებლო პასპორტში კერძოდ: საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა მრავალფუნქციური შენობა (საზოგადოებრივი–საცხოვრებელი) და დაფიქსირდა ახალი საკადასტრო მონაცემები (საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.14.14.002.116 ფართობი – 925 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882015149329));
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის 07/04/2020 წლის N4922469 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 39ა-ში მდებარე თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.14.14.002.116. ფართობი 925.0 კვ.მ), შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
2020 წლის 11 ნოემბერს შპს „ილიარდმა“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსგან შეიძინა 448.0 კვ.მ მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით N01.14.14.002.156, დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე მიწის ნაკვეთის მხოლოდ სარეკრეაციო განვითარების პირობით. 2020 წლის 25 ნოემბერს კი განხორციელდა შპს ,,ილიარდის" საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების გაერთიანება და საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი განისაზღვრა - 1373 კვ.მ (ს/კ: 01.14.14.002.116), შენარჩუნდა პირობა 448 კვ.მ მიწის ნაკვეთის მხოლოდ სარეკრეციო განვითარების თაობაზე.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 31 მარტის ბ01.012109040 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 31 მარტის N270 განკარგულებაში. კერძოდ დაფიქსირდა განახლებული მისამართი და საკადასტრო მონაცემები (ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N39ა ; საკადატრო კოდი N01.14.14.002.116 (ფართობი 1373.0 კვ.მ)). ასევე „ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N39ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.14.002.116) მრავალფუნქციური შენობის (საზოგადოებრივი - საცხოვრებელი) განთავსებისთვის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტების მიზნით, გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპრეოქტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვრა კ-2=5.0 .
განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული # 01.14.14.002.116 ფართობი – 1373.00 კვ.მ.), რომლის თანახმადაც შეცვლილია საკადასტრო ერთეულის მონაცემები. განმცხადებელი ითხოვს ახალი საკადასტრო მონაცემებისა და გასაშუალებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) მაჩვენებელის დაფიქსირებას.
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 02/06/2021 წლის # 61-01211533248 წერილისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 31 მარტის ბ01.012109040 ბრძანების გათვალისწინებით სამსახურს, მიზანშეწონილად მიაჩნია, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია სამშენებლო პასპორტში შეიტანოს ცვლილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 03.12.2003 წ. #3106 სამშენებლო პასპორტში და დაფიქსირდეს განახლებული მისამართი და საკადასტრო მონაცემები („ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N39ა; ს/კ 01.14.14.002.116; ფართობი 1373.00 კვ.მ; რეგისტრაციის ნომერი: N 882020949985;

თარიღი 15/12/2020)
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 03.12.2003 წ. #3106 სამშენებლო პასპორტში და დაფიქსირდეს გასაშუალებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ-2=5.0
3. ქალაქ თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 03.12.2003 წ. #3106 სამშენებლო პასპორტს დამატებით დოკუმენტაციად დაემატოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება და 2020 წლის 5 ნოემბერს გაფორმებული, პირობებით გამოცხადებული აუქციონის Nე-548-1-25622 ხელშეკრულება.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის 03.12.2003 წ. #3106 სამშენებლო პასპორტთან, ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 19 ნოემბრის #ნ1107 ბრძანებასთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 10/08/2015 წლის №2059524 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.